ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №544140

ნომერი: AR1106884

თარიღი : 03.02.2013

გაცემის თარიღი : 13.02.2013

გაცნობის თარიღი : 30.04.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მექანიზაციის ქუჩა N1 , (ნაკვეთი N1/95) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რევაზ სვანიძე პ/ნ 01025011374
- თბილისი დიდი დიღომი დ.თავდადებულის ქ. N 16 ბ. 30

ნომენკლატურა :

- ავტოსამრეცხაო
- II კლასი
- ახალი მშენებლობა
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 645
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 6.05.2010

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: ავტოსამრეცხაო
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ცოტნე ბართაია

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: რევაზ სვანიძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01025011374

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 1805.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 285.9
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 268.2
- .საწარმოო ფართობი (კვ.მ).: 268.2
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 1338.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 1338.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 0.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 4.8
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 4.8
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 0.0
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : მთლიანი მოშ. 830,8 კ-1=0,5; ამ ბლოკის მოშ,285.9 კ-1=0,15
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : მთლიანი 830,8 კ-2=0,5; ამ ბლოკის კ-2=0,15
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 200.კ-3=0,2

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 01/2439
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 6.05.2010

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის მიერ 2010 წლის 29 ოქტომბერს #01/2439 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში , სექტორი ნაძალადევი, მექანიზაციის ქუჩა #1–ში შპს „ცისკარის 2008“–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე საწყობის, ავტოსამრეცხაოს და ავტოტექმომსახურებოს ობიექტის არქიტექტურული პროექტი და აღნიშნულზე გაიცა მშენებლობის სანებართვო მოწმობა #ნ/2666–1. ამჟამად თქვენ ითხოვთ ინდივიდუალურად თითოეული ობიექტის მშენებლობის წარმოების მიზნით მათ ეტაპებად გაყოფას და ვინაიდან თქვენს მიერ აღნიშნული მშენებლობა არ არის დაწყებული , როგორც სხვა ბლოკებისათვის ისე ამ კონკრეტული შემთხვევისათვის (II-III ბლოკისათვის) გსურთ პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა და არჩეული გაქვთ ახალი მშენებლობა საჭიროა მოითხოვოთ 2010 წლის 29 ოქტომბერს #01/2439 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის აქტების , მშენებლობის სანებართვო მოწმობა #ნ/2666–1 გაუქმება (2010წ. 06. მაისს სამშენებლო მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები # 645 და მასში შეტანილი ცვლილების შენარჩუნებით), რისთვისაც უნდა აირჩიოთ სამართლებრივი საკითხები ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება–წარმოსადგენი დოკუმენტაციის სიის შესაბამისობით და შეავსოთ მოცემული ველები.

ასევე გაცნობებთ, რომ II კლასს დაქვემდებარებული შენობის მახასიათებლებია –განაშენიანების ინტენსივობის (სიმჭიდროვის) კოეფიციენტით K2-ით განსაზღვრული ან იმ ზონაში, სადაც K2 არ განისაზღვრება –სართულების იატაკის დონეებზე განაშენიანების ჯამური 300 მ2-მდე ფართობის, 5 მ-დან 12 მ-მდე სიმაღლისა და გრუნტის ზედაპირიდან საშუალოდ 2 მ-დან 4 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობაშენობა-ნაგებობა, რომლის მალის, ფერმის ან სხვა კონსტრუქციული ელემენტის სიგრძე ნაკლები ან ტოლია 7 მ-ისა. აღნიშნულის გათვალისწინებით გაცნობებთ,

რომ ვინაიდან საპროექტო შენობის შენობის კონსტრუქციული ელემენტის სიგრძე მეტია 7 მ-–ზე და შეადგენს 8,30–მ.ს, აღნიშნულიდან გამომდინარე შენობას ეცვლება კლასი და იგი წარმოადგენს III კლასის მახასიათებლის მქონე ობიექტს, იმისთვის რომ ხელახლა იმსჯელოს სამსახურმა თქვენს საკითხთან დაკავშირებით საჭიროა ელექტრონულ მისამართზე www.tas.ge კლასის განსაზღვრის კალკულატორში სწორად მიუთითოთ საპროექტო ობიექტის პარამეტრები და სამსახურის მიერ გებლევათ შესაძლებლობა ნომენკლატურის ცვლილებისა.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შემდგომ შეძლებს სამსახური ხელახლა განიხილოს თქვენი საკითხი, მითითებული რეკომენდაციისა და ხარვეზების გამოსწორების შემდგომ (ხარვეზების შესახებ ინფორმაცია მითითებულია შესაბამისი ველების გასწვრივ) კერძოდ:

1.მოთხოვნის შინაარსი. -> .მოთხოვნის ტექსტი.: მოთხოვნის ტექსტში ინფორმაცია ჩაიწეროს განახლებული მონაცემების მიხედვით არჩეული ნომენკლატურის შესაბამისობით

2.საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით.:–გენ –გეგმის ფაილი აიტვირთოს თქვენს მიერ ატვირთული გენ –გეგმის pdf ფაილის ანალოგიურად(ორივე პოზიციაში)

3.განმარტებითი ბარათი. -> .განმარტებითი ბარათი.: –მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით (მოაზრებული როგორც ახალი სამშენებლო ობიექტი) აისახოს საპროექტო ობიექტის ფუნქცია დანიშნულება და გენგეგმის მიხედვით მიეთითოს საპროექტო ობიექტის ბლოკის N

4ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .საერთო ფართობი (კვ.მ).: –საერთო ფართი განისაზღვროს გეგმებზე დატანილი ფართობების შესაბამისობით და მისი ფართობი განისაზღვროს სასარგებლო ფართობების დაჯამებით მიღებული რიცხვითი მაჩვენებლის მონაცემით (მიეთითოს ფართის ფუნქციური დანიშნულება– ფართობი (კვ.მ), საზაფხულო ფართობი (კვ.მ). და დამხმარე ფართობი (კვ.მ) ჯამური ფართობი ტოლი უნდა იყოს საერთო ფართობის მონაცემის)–საჭიროების შემთხვევაში შესწორდეს და შეივსოს შესაბამისი ველები;

5.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: —დაზუსტდეს მონაცემი

6.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: –დაზუსტდეს ჭრილის მიხედვით მიეთითოს მთლიანი კონსტრუქციული სიმაღლე –0.00 ნიშნულისა და +0,00 ნიშნულის ჯამური მონაცემით და მათი მონაცემები (ჭრილის ნახაზის ნიშნულების მიხედვით) ჩაიწეროს შესაბამის ველებში

7.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: მონაცემი ჩაიწეროს ჭრილხზე მითითებული მაქსიმალური ნიშნულის მიხედვით ან ჭრილის ნახაზზე იქნას ასახული ამ ველში მითითებული მონაცემი;

8. ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: მონაცემი ჩაიწეროს ჭრილხზე მითითებული მინიმალური ნიშნულის მიხედვით ან ჭრილის ნახაზზე იქნას ასახული ამ ველში მითითებული მონაცემი;

9.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : ამ ველში ჩაიწეროს ტერიტორიაზე ყველა საპროექტო

ბლოკის მოშენების ფართობი და შემდგომ მათი ჯამური მონაცემი, რის მიხედვითაც უნდა იქნას დაანგარიშებული კოეფიციენტის სიდიდე, აღნიშნული იანგარიშება ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის N4-13 გადაწყვეტილებით ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების მუხლი15, 16, 17-ის შესაბამისად;

10.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : ამ ველში ჩაიწეროს ტერიტორიაზე ყველა საპროექტო ბლოკის განაშენიანების ინტენსივობის ფართობი და შემდგომ მათი ჯამური მონაცემი, რის მიხედვითაც უნდა იქნას დაანგარიშებული კოეფიციენტის სიდიდე, აღნიშნული იანგარიშება ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის N4-13 გადაწყვეტილებით ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების მუხლი15, 16, 17-ის შესაბამისად;

11.შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100. -> .გეგმების pdf ფაილი.: –გეგმა" 1–8" ღერძებს შორის მოყვანილი იქნას ამავე ფასადის ნახაზთან შესაბამისობაში ან ფასადი იქნას შესწორებილი გეგმის ნახაზთან შესაბამისობაში

12.შენობა-ნაგებობის ფასადები, მასშტაბი 1:100. -> .ფასადების pdf ფაილი.: —წარმოდგენილი იქნას ფასადის ნახაზი "ა–ბ" ღერძებში და მიეწეროს მოსაპირკეთებელი მასალა და ფაქტურა;

13.საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული CAD ფაილი. -> .საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით. : შესწორდეს შესწორებული პროექტის მონაცემების ცვლილებების შესაბამისობით;

14.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები. -> .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: —გაუქმების შემდგომ აღნიშნული ველი დატოვებული იქნას შეუვსებელი;

15.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები. -> .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: –გაუქმების შემდგომ აღნიშნული ველი დატოვებული იქნას შეუვსებელი;

16.საინფორმაციო დაფა - ბანერი. -> .საინფორმაციო დაფა - ბანერის pdf ფაილი.: – საინფორმაციო ბანერის ფოტოსურათები წარმოდგენილი იქნას შორი და ახლო მანძილიდან გადაღებული ფიქსაციით, საპროექტო შენობის ვიზუალიზაციით;

17"მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი -> .მოსაკრებელის მოშენების ფართობის რიცხვითი მაჩვენებელი: ამ ველში 0–ის მითითება იქნება შესაძლებელი იმ შემთხვევაში თუკი თქვენს მიერ "ფაილის მიმაგრების ველში :იქნება ატვირთული თქვენს მიერ გადახდილი თანხის ქვითრის ასლი შესაბამისი განმარტებით (AR189059 განცხადებაზე გადავიხადეთ მთლიანი მოშენების თანხა ინვოისით #AR189059BP. 830.80 ლარი. ეხლა ეს ბლოკი არის II-III ბლოკი და გვინდა ავაშენოთ ავტოსამრეცხაო,რაც მითითებული გქონდათ განმარტებით ბარათში)

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.